№ 237
1877

ივერია

№ 237
1903

ნოემბერი 6, ხუთშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ნოემბერი 6, ხუთშაბათი 1903 წ.

რედაქციისაგან

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანიათ, დააჩქარონ ფულის შემოტანა.

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 2 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით. ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:
1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სანახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეებს ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.

„ც ო დ ნ ა“

ახლად დაარსებული ქართული წიგნის მაღაზია
ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

იყიდება

ყველა ქართული წიგნები და ქართულ-რუსული სახელმძღვანელონი სახმარებელნი სამრევლო და სამინისტრო სკოლებში. აგრეთვე მაღაზია ჰყიდის და ყიდულობს ძველს და ნახმარს წიგნებს დაკლებულ ფასად.

საგანი „ცოდნის“ მაღაზიისა—გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასათვის ხელ-მისაწდომ გამოცემათა.

მსურველთ წიგნები გზავნება ქალაქ-გარედაც ფას-დადებით.

დაუყოვნებლივ ვასრულებთ ყოველ გვარ შეკვეთას, როგორც ქალაქის აგრეთვე პროვინციის მცხოვრებლებისას.

იქვე მიიღება ხელის მოწერა ყოველ ქართულ ჟურნალ-გაზეთებზე.

ადრესი: Тифлисъ, Книжный магазинъ „ЦОДНА“.

წიგნის მაღაზიის პატრონი და მმართველი სოსიკო მერკვილაძე.

ნინო მერაბის ასული იოსელიანისა ქალებითურთ, დიდად დავალებული მრავალ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართა თანაგრძნობით **მართა ისიდორეს ასულს იოსელიანის** დაკრძალვის დროს, ამაღლების ეკლესიაში, ყველას გულითადსა და მხურვალე მადლობას სწირავს.

წარმოდგენა № 14. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 6 ნოემბერს 1903 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება

I

ირინეს ბედნიერება

სცენები 2 მოქ. დ. კლდიაშვილისა

II

პირველი ბუზი

კომედ. 3 მოქ. გად. ვ. გუნიას მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. დავითაშვილი; ა. კარგარეთელისა, ა. რონელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ლ. მირიანაშვილი, ვ. მაჭარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ქმართა სკოლა“, მოლიერისა. შემდეგი ბენეფისი 11 ნოემბერს კ. ყიფიანისა.

ტფილისის სახაზინო თეატრი
რუსული ოპერა

ხუთშაბათს, 6 ნოემბერს, რეპეტიციების გამო, წარმოდგენა არ იქნება.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 7 ნოემბერს 1903 წ.

მის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქმნება

ბალ-მასკარადი

ოპერა 4 მოქმედ. 6 სურ. მუს. ვერდისა.

მონაწილეობას იღებენ: გალცონა, კარტავინა, კალანინა; ბ-ნნი: რაისკი, დუსი ჩაივვანი, ილიუშჩენკო, კლიუზნერი, ფედოროვი, კრინევი, გავრილოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი ჰოზენი.

უფროსი რეჟისორი ს. ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ექიმი
ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

ტფილისის სამარხი კასსის გამგეობა

აუწყებს თავის წევრთ გარდაცვალებასა ამავე კასსის წევრის ნატალია სვიმონის ასულის ედილაშვილისას და სთხოვს შემოიტანონ ხვედრი გარდასახადი თითო მანეთი და ხუთი შაური გამგეობის წევრ იოსებ მერკვილაძესთან (ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“.

ვისაც სურს ჩაეწეროს წევრად, აქვე მიჰმართოს.

(4—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

მ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ზ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და სახებით ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მოჩინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებით 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

ტფილისი

⁂ ქართულ დრამატიულ კომიტეტის თავმჯდომარეს ოდესიდან დეპეშა მოსვლია, 3 ნოემბერს აქ აუდიტორია დაარსდა, რომელიც ხელს შეუწყობს ქართულ წარმოდგენების გამართვასაო. დრამატიულ კომიტეტის თავმჯდომარემ დეპეშითვე თანაგრძნობა და წარმატების სურვილი გამოუცხადა.

⁂ ამას წინად ვწერდით, რომ ტფილისის მაზრის უფროსმა მოსთხოვა ქალაქის სამმართველოს სახაზინო გარდასახადი, ქალაქის მიწებზე შეწერილი. ქალაქის გამგეობამ ეხლა უპასუხა, რომ არ ვიცოდით, თუ ქალაქის მიწებს გარდასახადი ჰქონდა შეწერილი და თავის დროს ხარჯთ-აღრიცხვაში ვერ შევიტანეთ ეგ ხარჯიო; შესაძლოა მხოლოდ მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შევიტანოთ ეს ხარჯი და მაშინ წარუდგენთ ხაზინას გარდასახადსაო.

⁂ პეტერბურგიდან ატყობინებენ გაზ. „პრიაზოვ. კრაი“-ს, რომ 20 ნოემბერს განსაკუთრებული კომისია განიხილავს კახეთისაკენ რკინის გზის გაყვანის საქმესაო.

⁂ უგანათლებულესი სამეგრელოს თავადი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე სეკდემბერს აქეთ სამეგრელოშია და, როგორც ამბობენ, ზამთარ-გაზაფხულს ქ. ზუგდიდში გაატარებს თავის საგვარეულო სასახლეში.

⁂ ქალაქის საბჭომ, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, ამას წინად 50,000 მანათი გადასდო წყალის ფილტრების მოსაწყობად ავჭალაში. ინჟენერ ზიმინის გამოანგარიშებით-კი ამ საქმეს დასჭირდება 100,000 მანათი. ამის გამო განსაკუთრებული კომისია შეუდგა ინჟენერ ზიმინის პროექტის განხილვას იმ განზრახვით, იქმნება შესაძლო იყოს ხარჯის შემცირება, რომ გადადებულ 50,000 მანათს არ აღემატოსო.

⁂ რუსეთიდან გადმოსახლებულთა ახალშენების მოსაწყობად უჯარმის მხარეს, ტფილისის მაზრაში, ტფილისის გუბერნატორმა მისწერა მაზრის უფროსს: ყველა მიწები, რომლებიც გადმოსახლებულთ უნდა დაეთმოს, ეხლავე ჩაიბარეთ სახელმწიფო ქონებათა გამგეობისაგანაო; შეადგინეთ დასახლებულთა სია და ყველას საბუთის ქაღალდები ჩაიბარეთო. ამ საქმისათვის უნდა წავიდეს გადმოსახლებულთა სამმართველოს მოხელე ავილოვი და ადგილობრივ, მიწის მზომელის თანადასწრებით, მიუზომავს ყველა დასასახლებელ ოჯახს კუთვნილ ადგილს და უჩვენებს სამფლობელო საზღვრებს. ამავე დროს დასახლებულებმა უნდა სახელი უწოდონ ახალ სოფელს.

⁂ „რუსეთის მოამბის“ მეორე რედაქტორი ვ. ლ. ველიჩკო, როგორც დეპეშით „კავკაზს“ ატყობინებენ, რედაქტორობას თავს ანებებს.

⁂ მცენარეულობათა გამოფენა გაგრაში 1 ნოემბერს გათავებულა.

⁂ ტფილისის სახაზინო საფუტკრეში წელს 27 ფუთი თაფლი მოსულა.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტრის თანაშემწედ ტფილისისავე მეცხრე საპოლიციო უბნის ბოქაული მანდრიკოვი დაჰნიშნეს.

⁂ ტფილისის გუბერნატორს საჩივარი მიართვეს მკერვალ ქალებმა იმის გამო, რომ ამქრის არჩევნებში მონაწილეობა არ მიაღებინეს. საჩივარში მოხსენებულია, რომ უსტაბაშმა მიიწვია ამქრის კრებაზედ მხოლოდ 16 მკერვალი, რომელთაგან ზოგს ოსტატობის მოწმობა არც-კი აქვს და ქალი-კი არც ერთი არ მიიწვია, თუმცა ბევრს მკერვალობის ატესტატები აქვთო. ამის გამო ქალები თხოულობენ მკერვალთა არჩევნები მოიშალოს და ახალი კრება დაინიშნოს.

⁂ გუშინწინ ქალაქის სახლის ეზოდგან, ერევნის მოედანზე, ქურდებს გაუღიათ კალვეიტის მაღაზია, შესულან და კასსა გაუტეხიათ. შიგ ფული არა ყოფილარა და საქონლისთვის ხელი არ უხლიათ.

⁂ სახაზინო პალატის მიწერილობისამებრ, ტფილისის გუბერნატორმა დაავალა მაზრების უფროსებს, რომ დაუყოვნებლივ მოახდინონ განკარგულება ყველა გარდასახადების მოსაკრებად, რადგან ეხლა საუკეთესო დროა ამისათვისაო. თუ ეს განკარგულება დროით არ შესრულდა, პასუხის მგებელნი პოლიციის მოხელენი იქმნებიან და უმთავრესად მაზრების უფროსებიო.

⁂ სახაზინო პალატის ცნობებიდგან სჩანს, რომ წელს ტფილისის საბოქაულოში შეკრებილა სხვა-და-სხვა გარდასახადი 8291 მან 21 კაპ., რაც შეადგენს მხოლოდ ერთს მერვედს წლიურ გარდასახადისას. სართიჭალის საბოქაულოში შეუკრებიათ 14,304 მან. და ყარაიაზისაში—მხოლოდ 100 მან. ამის გამო მაზრის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ ბოქაულებმა სასტიკ ღონისძიებას მიჰმართონ გარდასახადების მოსაკრებად და სახაზინოში შესატანად 1 დეკემბრამდე.

⁂ ტფილისის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ უკეთუ საქლავ საქონელს სამოვრებიდგან საძოვრებზე ერეკებიან ანუ სხვა მხრიდგან მოუდის ვისმე, პოლიციისა და სოფლის მოხელეებმა დაუყოვნებლივ აცნობონ მახლობელ ვეითალს, რომელიც მოვალეა შეამოწმოს, მოარულო რამ ხოლერა არა აქვს გაჩენილიო.

⁂ სომხურ დრამატიულ საზოგადოების წლიური კრება მოხდება კვირას, 9 ნოემბერს, დილის 11 საათზე, „საარტისტო საზოგადოების“ სადგომში.

⁂ ტფილისში არსებობს მექანიკური ქარხანა კარაპეტოვისა და ბერეჟანოვისა. ამ ქარხნის პატრონებზე დარჩენილი გადასახადი ქალაქისა ითვლება 2332 მან. ქალაქის გამგეობამ პოლიციასა სთხოვა, ვამოერთმევა როგორმე ქარხნის პატრონებისთვის გადასახადი, მაგრამ პოლიციაც ვერას გახდა და ქაღალდები უკანვე გამგეობას დაუბრუნა.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა ორთაჭალელების თხოვნა ფარნების გამართვის შესახებ და დაადგინა დადგას ორთაჭალაში ჯერ-ჯერობით 5 ფარანი.

⁂ ტფილისის ქალაქის პირველ ღამის თავშესაფარის გამგის ანგარიშიდანა სჩანს, ოქტომბრის განმავლობაში თავშესაფარში მისულა 1051 კაცი, აქედან 935 მამაკაცი და 116 დედაკაცი. რუსი ყოფილა მამაკაცი 404, დედაკაცი 82, სომეხი მამაკაცი 351, ქართველი მამაკაცი 123 და 31 დედაკაცი, თათარი 33 და პოლონელი—17.

მეღვინეობა

ჩვენსა და რუსეთში

(საპასუხო წერილი რედაქციის მიმართ).

«ივერიის» მე-215 ნომერში დასტამბულია მეთაური წერილი, რომელიც შეეხება „კახეთის მევენახეთა საზოგადოების" მოქმედებას. ავტორი აღნიშნავს წლევანდელ ღვინის დიდ მოსავალს კახეთში მაგრამ ეს დიდი მოსავალი არ ახარებსო კახელ მევენახეს; ღვინის ბაზარი არა აქვს და მუშაკის ნაყოფით სარგებლობენ ჩარჩები, რომლებიც ჩალის ფასად იგდებენ ხელში მთელ ჭირნახულს და «თხის პატრონთ თხის ტყავიც აღარ რჩებათ ხელში»-ო.

ამისთანა შემთხვევაში, ავტორის სიტყვით, მევენახეს ვერა შველის ვერც «კახელ მევენახეთა საზოგადოება», რომელიც იმ აზრით დაარსდა, რომ მუშაკმა თითონვე ისარგებლოს თავის შრომის ნაყოფით. საზოგადოების საქმეები ჩინებულად წავიდა «და საფიქრებელი იყო, განაგრძობს ავტორი, რომ მისნი გამგენი მეტ მხნეობას, გამჭრიახობას გამოიჩენდნენ და არ შესდგებოდნენ ერთს წერტილზე. მაგრამ არ შეგვიძლია არ გუსაყვედუროთ «კახეთის მევენახეთა საზოგადოების» ხელმძღვანელთ, რომ იგინი ჯეროვანის გულმტკივნეულობით ვერ ეკიდებიან მათდამი რწმუნებულს საქმეს. რა მიზეზია, რომ «საზოგადოების» წევრთა რიცხვი მეტად მცირეა კახეთის მევენახეთა საზოგადო რიცხვთან შედარებით? ერთი ახირებული საბუთი გავიგონეთ გამგეთა გასამართლებლად,—„საზოგადოების" სარდაფები ეხლანდელ წევრთა ღვინოებსაც ძლივს იტევსო,—მაგრამ არა გვგონებთ „საზოგადოების" გამგეობამ მართლა ასე გულუბრყვილოდ იმართლოს თავი. ეს მეტად შეუწყნარებელი, რომ არა ვსთქვათ, უსუსური, საბუთი იქნებოდა და სიცილადაც არავის ეყოფოდა. რომელი ვაჭარი შეუშინდება მეტის საწყობის დაქირავებას, თუ-კი ბევრ საქონელს სთხოვენ შესყიდველნი და ვეღარ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებას? მეორე საბუთად იმას ამბობენ, ვითომ საუკეთესო ვენახების პატრონები ყველანი „საზოგადოების" წევრად არიან და იმ მევენახეთა ღვინოები-კი, რომელნიც „საზოგადოების" გარეშე დარჩნენ, მდარე თვისებისაა (ე. ი. სუსტი ღვინოა). ეს საბუთიც ყოვლად უსაფუძვლოა"…. «საზოგადოებას» რომ 20—25 კაპეიკიანი ღვინოები ჰქონდეს, დარწმუნებული ვართ, ამ ფასიან კახურ ღვინოს სხვაგან აღარ იყიდის მუშტარი».

როგორც სჩანს ამ სიტყვებიდგან, სულ უბრალო ღონისძიებანია საჭირო, რომ კახელ მევენახემ მოიმკის თავის შრომით თითონვე ისარგებლოს. ამისათვის, ავტორის აზრით, საჭიროა საზოგადოებამ ყოველი კახელი მევენახე წევრად მიიღოს და დაუკლოს ღვინის ფასს ბოთლზე შაური (ეხლა საზოგადოება ბოთლს 25 კაპ. ჰყიდის).

ნუთუ ასე ადვილია ამ საქმის გაწესრიგება?! რასაკვირველია, ავტორს გაგონილი ექნება, რომ ამ უკანასკნელ 4—5 წელს არა ერთხელ შეიკრიბნენ მევენახენი თავის საჭიროებათა გამოსარკვევად. ამისთანა კრებანი იყო თვით კახეთში—ქ. თელავში, თბილისში, სევასტოპოლში, ნოვოროსიისკში, მოსკოვში და ოდესაში. უმთავრესი მოტივი ყველა ამ კრების იყო: რა საშუალებანია საჭირო «ღვინის კრიზისის» თავიდან ასაცდენად. «ღვინის კრიზისი» კი ის არის, რომ ათ წელიწადზე მეტია, რაც თითქმის რუსეთის ყველა იმ ალაგებში, სადაც მევენახეობას მისდევენ, არამც თუ ღვინის ფასი ძლიერ დაეცა, არამედ ხშირად ხარჯებიითაც არ იყიდება და მევენახეს თავის მარანში უფუჭდება ღვინო.

ამ გარემოებას თვით მთავრობამაც დიდი ხანია მიაქცია ყურადღება; რამდენიმე კომისია (მენდელეევისა, არხიპოვისა და სხვ. თავმჯდომარეობით) დანიშნა საკითხის გამოსარკვევად. ამ აზრითვე ეხლაც ჰმოქმედობს უმთავრესი კომისია მინისტრის თანაშემწე სტეპენის თავმჯდომარეობით, და დღესაც მსჯელობა აქვს ამ საგანზე ჩვენს სამეურნეო საზოგადოებას.

ამ გარემოებამ არ შეიძლება არ ჩააფიქროს ყველა, ვინც მეღვინეობისა და მევენახეობის საჭიროებათა გამოკვლევას კისრულობს, რომ აქ რაღაც დიდი რთული საზოგადო ეკონომიური მოვლენაა მიზეზი და არა ისეთი საგანი, რომელიც აიხსნებოდეს «კახეთის საზოგადოების» გამგეობის უხეირობით.

რაში მდგომარეობს ეს მოვლენა? რასაკვირველია, მე არ შემიძლიან ვრცლად შევეხო აქ ამ საგანს, მხოლოდ საქმის გამოსარკვევად საჭიროა ორიოდე სიტყვა ვსთქვა. მთელ რუსეთში მოდის 30 მილიონამდე ვედრო ღვინო. ამ რიცხვიდგან მარტო 6-7 მილ. გააქვთ გარედ, ე. ი. წარმოების ალაგებიდგან სხვა ალაგებში, დანარჩენი ადგილობრივვე რჩება. ადგილობრივ ბაზრებისათვის კი ამოდენა ღვინო საჭირო არაა, და ამ გვარად ღვინოს ნაკლებად კითხულობენ, ვიდრე იგი გამოაქვთ ბაზრად გასასყიდად. აი ეს არის მიზეზი, რომ ღვინის ფასი ყოველთვის დაფოლებულია.

შეიძლება კაცმა იფიქროს, რუსეთში მეტი ღვინო მოდის, ვიდრე საჭიროა, მაგრამ ეს ასე არაა. ჩვენ ვიცით, რომ რუსეთში ბლომად შემოაქვთ ღვინო სხვა ქვეყნებიდგან და უფრო ბლომად დიდ ქალაქებში ხელოვნურად აკეთებენ ღვინოებს, როგორც ეს გამოააშკარავა სტატისტიკამ. აქედგან სჩანს, რომ ბუნებრივ ღვინის მაგივრად რუსეთი ჰხარჯავს ხელოვნურად გაკეთებულ სასმელებს.

ეს ხელოვნურად ღვინის გაკეთება, ანუ ფალსიფიკაცია ჰღუპავს ნამდვილ ღვინის მწარმოებელთ. ფალსიფიკაცია საშინლადაა გავრცელებული რუსეთის ყველა დიდ ქალაქებში. არამც თუ ნამდვილ ღვინოს უმატებენ იმის გასამრავლებლად წყალს, სპირტს და სხვა-და-სხვა წამლებს, არამედ აკეთებენ იმისთანა ღვინოს, რომელშიაც წვეთიც არ ურევია ნამდვილი ღვინისა. ასხვაფერებენ, ამრავლებენ და აკეთებენ აგრეთვე სხვა ქვეყნებიდგან მოტანილ ღვინოებს.

ფალსიფიკაციის ასეთი გაძლიერების მიზეზი იმაში უნდა ვეძებოთ, რომ ერთ მხრივ რუსეთის მხარჯველმა აქამდისან არ იცის ნამდვილ ღვინის გემოვნება,—თავიდანვე ასწავლეს გაკეთებულ სასმელებს (ნამტკნავად ტკბილ სასმელებს) და ისე შეეჩვია ამ სასმელებს, რომ უმეტეს ნაწილს ბუნებრივი ღვინო აღარ მოსწონს,—მეორე მხრივ ფალსიფიკაცია სასარგებლოა გამყიდველისათვის, რადგან ფალსიფიკატი ბევრად უფრო იაფად ჯდება, ვიდრე ნამდვილი ღვინო.

აი, ნამდვილი მიზეზი ღვინის ფასის დაფოლებისა: ღვინო არ გადის იმ ალაგებში, სადაც მევენახეობას არ მისდევენ (მხარჯველ ალაგებში), ადგილობრივ-კი, რაც მოჰყავთ, ვერა ჰხარჯავენ.

მაშ, რა გზას უნდა დაადგეს ბუნებრივ ღვინით ვაჭრობა?

ზემოხსენებულ სტატიის ავტორი ჰფიქრობს, რომ ბოთლი ღვინო შაურ ნაკლებ უნდა გაიყიდოს. თუ ღვინო მეტია, ვიდრე მას ჰსაჭიროებს მხარჯველი, ისევ ისე მეტად დარჩება, რამდენადაც უნდა გააიაფოთ იგი; და თუ ფალსიფიკატების მსმელი დაჰხარბდება ნამდვილ ღვინის სიიაფეს, განა ფალსიფიკატის მკეთებელი ვეღარ დააიაფებს თავის საქონელს? ვის შეუძლიან ნამდვილი ღვინო ისე იაფად ჰყიდოს, როგორც იყიდება ფალსიფიკატი? შეიძლება ავტორმა მიპასუხოს, მე მხედველობაში მაქვს მარტო კახური ღვინოო. კახური ღვინო რომ დააიაფოთ, იგი მალე გასაღდება, რადგან ხარისხით სჯობს სხვა მხრის ღვინოებსა. მართალია, ეს ასე იქნება, თუ რომ „ღვინო ჩალის ფასად გაიყიდა". ამის მიზეზსაც მოგახსენებთ.

ს. ვახვახიშვილი.

(დასასრული იქნება)

რუსეთი

— პეტერბურგში არსდება ახალი კვირეული გაზეთი „სიბირის მიმოხილვა". თანამშრომლებად მიწვეულნი არიან ყველა ცნობილნი მწერალნი, მცოდნენი სიბირისა. შემუშავებულ იქმნა ვრცელი პროგრამა ინსტრუქცია სიბირის კორესპონდენტებისათვის. გაზეთს აზრად აქვს თვალ-ყური ადევნოს იმ ეკონომიურსა და ყოფა-ცხოვრების ევოლიუციას, რომელიც სიბირში სწარმოებს ამ ჟამად.

— მეცნიერი ქალი ს. მ. პერეიასლავცევისა უნუგეშო მდგომარეობაშია და ეჭვი აქვთ, რომ მორჩეს. ავადმყოფობის დიაგნოზიც არ არის ჯერ ნათლად გამორკვეული. საზოგადოდ დიდი გაჭირვება და სიღარიბე აიტანია. როცა საზღვარ-გარედ სწავლობდა, თითქმის ლუკმა-პური არა ჰქონია და მთელის დღეობით შიმშილი უთმენია. შემდეგაც, როცა უკვე სახელი მოიხვეჭა მეცნიერისა, არ გაუმჯობესდა მისი მდგომარეობა. სულ ბოლოს, პერეისლავცევას დაენიშნა სამეცნიერო აკადემიისაგან 40 მან. პენსია თვეში. როცა გაიგეს იმისი მძიმე ავადმყოფობა ოდესაში, გამოჩნდნენ შეძლებულნი კაცნი და მზად იყვნენ გამოეღოთ ფული ავადმყოფის სიმკურნალოდ გასაგზავნად საზღვარ-გარედ, ან ყირიმს. ახლა მთელი გუნდია შემდგარი იმათი, რომელთაც იტვირთეს მისი მოვლა-პატრონობა. პერეიასლავცევისა ათის წლის განმავლობაში განაგებდა ბიოლოგიურს სადგურს სევასტოპოლში.

— კიევის გუბერნიიდან მიდის ხალხი ამერიკაში დასასახლებლად, მიდის უფრო გლეხკაცობა. ისე გასჭირებიათ საქმე, რომ სტოვებენ მამა-პაპეულ ადგილს და ცხრა მთას იქით აპირობენ გადაკარგვას იმ იმედით, იქნებ იქ. შორს უფრო უკეთ მოვეწყოთო. მიდის უფრო ჯანმრთელი ახალგაზდობა. ამას წინად ბევრმა გაჰყიდა თავისი ნადილები და შემოდგომის გასულს აპირობს შორეულს ქვეყნებში გადასახლებას.

— კოვნოს საგლეხკაცო ბანკმა იყიდა მამული გენერალის სტრანდმანისა და მიჰყიდა ჩერნიგოვის გუბერნიის გლეხებს. იყიდა აგრეთვე სამი მამული დიდის მემამულეებისა და უნდა დაჰყოს ნაჭრებად, რომ ისიც შიდა გუბერნიების გლეხებს მიჰყიდოს. ანაღვლე თვით კოვნოს გუბერნიის უმამულობით გაჭირვებულ გლეხობას!

— გარდაიცვალა აახენში (გერმანიაში) შესანიშნავი მცოდნე, მოყვარული ხელოვნებისა და მეცენატი ზვენიგოროდსკი. განსვენებული უფრო მინანქრის ხელობას მისდევდა და აგროვებდა მინანქარზე ნახატებს სურათებს, როგორც ბიზანტიისას, ისე საზოგადოდ აღმოსავლეთისას. 1886 გაათავა ეს გროვება და 1892 წელს დაჰბეჭდა წიგნი, რომელშიაც მოთავსებული იყო აღწერა შეგროვილ მინანქრებისა, უფრო მეათე და მეთერთმეტე საუკუნოებისა. ტექსტი დასწერა შესანიშნავმა ბიზანტინისტმა კონდაკოვმა. წიგნი შესანიშნავი გამოვიდა ხელოვნებისა და მეცნიერების მხრივ. დაჯდა სულ 120,000 მან. გაყიდვით არც ერთი წიგნი არ გაუყიდნია გამომცემელს. იყო სულ 200 რუსულ, 200 ფრანგულ და 200 გერმანულს ენაზედ დაბეჭდილი და დაურიგდა გვირგვინოსანთ, ბიბლიოთეკებს და მუზეებს. როცა შემთხვევით, პატრონის სიკვდილს შემდეგ, წიგნს გასაყიდად გამ[illegible]ებდნენ, იძლეოდენ 700—800 დ 1000 მან. თითოში.

— 8 წელიწადია, რაც საკომერციო განათლებას განაგებს რუსეთში ფინანსთა სამინისტრო და ამ ხნის განმავლობაში საოცრად გამრავლდა საკომერციო სასწავლებლები. ამ ჟამად სულ 174 საკომერციო სასწავლებელია სხვა-და-სხვა ტიპისა. მასწავლებელთა რიცხვი 2,180, მოსწავლეთა—32,240. ყოველწლივ იხარჯება მათთვის $3^1/_2$ მილიონი მანეთი. აქედან მხოლოდ $4^0/_0$-ს ჰხარჯავს მთავრობა, დანარჩენი სულ საზოგადოებისა და კერძო კაცთა ფულია.

უცხოეთი

იტალია. იტალიის ფინანსთა მინისტრ როზანოს თავის მოკვლის შესახებ გაზეთები შემდეგს იუწყებიან.

„როზანო მაგიდასთან ჰნახეს სკამზე მჯდომარე; რევოლვერის ფინთიხი პირდაპირ გულში მიახვედროდა და იმ წამსვე მომკვდარიყო. საწერ მაგიდაზედ იპოვეს ბარათი მინისტრის მეუღლისადმი:

„პატიოსანი კაცი ვარ და ისე ვკვდები, როგორც პატიოსანი კაცი; მაგრამ აგერ ერთი თვეა, რაც თავს დამტრიალებს ისეთი ქარიშხალი, რომ მეტი გაძლება აღარ შემიძლია. შემინდვია ჩემის ვაჟებისათვის, რომელთაც ესოდენი მწუხარება მომაყენეს; შემინდვია ჩემის მტრებისათვისაც, რომელთაც ცილის წამებით ამავსეს. მომავალი მე გამამართლებს. შენც შემინდე.

პიეტრო."

ვაჟიშვილები მეტად აწუხებდნენ როზანოს თავის გარყვნილებითა და ფუქსავატ ცხოვრებით. იმდენ ვალებს იღებდნენ, რომ ამას წინად მამა იძულებული შეიქნა გამოეცხადებინა,—ამიერიდგან ჩემის შვილების ვალებს აღარ გადავიხდიო.

როზანოს ოჯახობას ულაპარაკნია,—ვახშამ წინად მეტად მოწყენილი იყო; არა უჭამია-რა, ცოტასა ლაპარაკობდა, მხოლოდ ხანდახან აჩქარებით უკოცნიდა ხელებს თავის ქალებსა, რომელთაც შუაში უჯდა.

ეს შემთხვევა გვაგონებს ნეაპოლელ დეპუტატ დეკერშის თავის მოკვლას, რომელმაც 1898 წელს მთელი იტალია აალაპარაკა. დეკერში ერთი უშესანიშნავესი პუბლიცისტი და ხელოვნურ ნაწარმოებთა კრიტიკოსი იყო იტალიისა, და თავი მოიწამლა მხოლოდ იმიტომ, რომ რომის ერთ გაკოტრებულ ბანკიდგან რამდენისამე ასი-ათას ლირის გამოტანას აბრალებდნენ.

შეერთებული შტატები. კოლუმბიის მთავრობას შეერთებულ შტატების დეპარტამენტისათვის გადაუცია საპასუხო ნოტა, რომელშიაც წინააღმდეგობას აცხადებს შტატების მოქმედების გამო პანამის ახალ რესპუბლიკის შესახებ და ამტკიცებს, რომ 1846 წლის ხელ-შეკრულობის ნამდვილ შინაარსს მხარს უქცევს შტატები და სულ სხვა მნიშვნელობას აძლევსო.

ახალი ხელ-შეკრულობა, რომლის ძალითაც შეერთებულ შტატებს უნდა დაეთმოს პანამის არხის გასაყვანად ერთი ნაჭერი მიწა, და რომელზედაც ხელი უნდა მოაწეროს ახალ რესპუბლიკის ბუნო-კარილიის წარმომადგენელმა;—ფინანსიურის მხრით თითქმის იგივეა, რაც ჰეი-გერონის კონვენცია; მხოლოდ ის მუხლი, რომლის ძალითაც პანამის არხის გასაყვანი ადგილი შეერთებულ შტატების მთავრობას უნდა დაექვემდებაროს, უფრო ნათლად და გარკვევითაა აღნიშნული.

ბულგარია, ბულგარიაში დაუპატიმრებიათ რამდენიმე ოფიცერი, რომელთაც ჰბრალდებათ,—არჩევნების დროს ცანკოვის მომხრეთა სასარგებლოდ ჰმოქმედობდნენო. ახლანდელ მთავრობის მომხრენი ჰგონებენ,—ეს ოფიცრები იმ მაღალ წოდების სამხედრო პირთა ზედგავლენით ჰმოქმედებდნენ, რომელნიც ადრე გაძევებულნი იყვნენ სამშობლოდგან რუსთა-მოყვარე დასის თანაგრძნობისათვისაო.

სერბია. ბელგრადში დაუპატიმრებიათ „ნაროდნი ლისტ."-ის რედაქტორი შიბალიჩი. მისი გაზეთი, როგორც ვუწყით, იმ ოფიცერთ ესარჩლება, რომელნიც შეთქმულობის წინააღმდეგნი იყვნენ. ცხადია, რომ შიბალიჩის დაპატიმრება შეთქმულობის მომხრეთა ძლიერებას მოასწავებსო.

ფელეტონი

ფშავეთი

ერთის თვალის გადავლებით.

ვის ძარღვებშიაც სისხლი ძლიერად სჩქეფს და სიცოცხლე სჭარბობს, ვისაც ბუნების მშვენიერება უყვარს და სწყურია, ვისაც ესთეთიკის გრძნობა არა აქვს დახშული, იმას არ შეუძლიან არ იგრძნოს განუსაზღვრელი სულიერი სიამოვნება ფშავეთის ნახვით.

ვეებერთელა მთანი, ტყით მოსილნი, საშინელი აღმართ დაღმართები, სწრაფად მრბენი არაგვი თავის შეხუთულ კალაპოტში, ვიწრო ხეობანი, უზარმაზარნი კლდენი და ნაპრალნი, ყველა ეს მომხიბლველ სურათს გიშლის თვალწინ.

ველური ბუნება, რომელსაც ჯერ ადამიანის ხელი მხოლოდ აქა-იქ თუ შეჰხებია, ჯერ დაუმორჩილებელია კაცისაგან.

აქა-იქ თუ შეხვდებით მოსახლეებს. აქ ორი სახლი ხშირად სოფლად ითვლება. საზოგადოდ, სახლები ძლიერ შორს არის ერთმანეთზე.

ოდესღა[illegible]რიქით, [illegible]კის, ეგებ აქ სიცოცხ[illegible]ად უდაბურ ტყე[illegible] ძველ ნასახლარებს, სასაფლაოებს, გზებს, ციხეთა და ტაძართა ნანგრევებს.

Дозв. цензурою.

ფშავეთი, როგორც ყოველი სხვა მთიულეთ ქვეყანა, მით უფრო საყვარელი უნდა იყოს ჩვენთვის, რომ უწინდელ დროში მიუვალი ციხე, მიუწდომელი თავშესაფარი იყო ბარელ ქართველობისათვის. აქ ას კაცს შეუძლიან გაუმაგრდეს ათიათასს. ურდოთა მღელვარება მიაწყდებოდა ფშაველის მთებს და ქარწყლდებოდა აქ, როგორც ზღვის მღელვარება ქარწყლდება კლდოვან კიდეთა შეხეთქებით. როგორ არ შეიყვაროს, მაშ, ფშავეთი ქართველმა?!

მიყვარს მგზავრობა ფშავეთში. მართალია, საშიშარი გზებია, ცხენიც მალე დაგეღლება, თვითონაც მოიქანცები, ასე გასინჯე, ხშირად თმაც ყალხზე დაგიდგება შიშით, მაგრამ, 1) სადაც განსაცდელია, იქ სიამოვნებაც არის და 2) ამ განსაცდელს ათას წილ ჰფარავს განუზომელი სიამოვნება, დიდის ბუნების ხილვით გამოწვეული. მიკვირს, რატომ მეტი პოეტი არ მიუგვლენია ამ ხელშეუხებელ ბუნების წიაღთაგან!

ფშავეთი თვით განხორციელებული პოეზიაა, კაცის სულის აღმამაღლებელი, განმამშვენიერებელი, და ამ მშვენიერ ბუნებას ეთანხმება ლაღი, თავისუფალი, მრავალ კეთილშობილ ღირსებით შემკული შვილი მისი, ფშაველი.

როდესაც უყურებ ამაყ, ამპარტავან, მშვენივრად მოყვანილ მთიელებს, მათს დიადის ენერგიის მეტყველ სახეს, ძალაუნებურად გაგონდება ძველი, დაკარგული დრო და თან ნატრობ, ნეტავი ყველა ქართველნი ასეთნი იყვნენო.

სამწუხაროდ ჩვენდა, ენერგია და ტანმრთელობა ქართველთა დაშთენილა მხოლოდ მთებში. ბარი-კი გადაშენების გზას ადგია.

მიზეზი ამისი ის არის, რომ მთიელნი თავისუფალნი არიან მალარიისაგან, რომელიც მუსრს ავლებს ბარელებს. თუ უწინდელ დროში ბარბაროსთა ურდონი იყვნენ ჩვენი განმანადგურებელნი და მოსისხლე მტერნი, ამგვარ მტრად სწორედ ეს საშინელი სენი გაგვჩენია ახლა. მაგრამ, თუ ძველად მტრის მოსაგერიებლად ქართველს კარგი ღონე ჰქონია, ე. ი. ბასრი მახვილი და მტკიცე მკლავი, დღეს არა აქვს არავითარი კულტურული საშუალება, რომ გაუმკლავდეს ხსენებულ სენს. საჭიროა დაშრობა ჭაობისა და დგუბეებულ წყლებისა, ბრძოლა კოღოს წინააღმდეგ, დაგუბებულ წყლებში ნავთიან ჩერების სისტემატიურად გატარ-გამოტარება წყლის ზედა-პირზე,—რის გამოც ხსენებული ჭიები იგუდება, — საჭიროა, რომ ხალხი ნესტიან სახლებში არ სცხოვრებდეს, რიგიანად სვამდეს, სჭამდეს, მეტის-მეტის ჯაფით არ იქანცებოდეს. ყველა ეს რომ ჰქონოდა ბარელ ხალხს, მაშინ, რასაკვირველია, ადვილად დასთრგუნავდა მალარიას და იგიც ისეთი სალი იქნებოდა, როგორც მთიელი ამისთვის კი საჭიროა ყველაზე უფრო მეტად ერობა. დიახ, მხოლოდ ერობას შეუძლია გაუძღვეს ჩვენს მრავალ-გვარ მოთხოვნილებას.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს მთიელ ფშაველებს.

სადაც სინათლეა, იქ ჩრდილიც არის. უნაკლულო არა არის-რა, მეტადრე ჩვენს ბეჩავ ცხოვრებაში. ფშაველიც-კი ვეღარ ლაღობს უწინდებურად, და რაც დრო მიდის, უფრო და უფრო იჩაგრება. ცხოვრება გასჭირდა. რაც მიწა ხელთ უპყრიათ, აღარ ჰყოფნისთ. სიღარიბემ იჩინა თავი, თავში ჩაჰკრა, ჩაუკაკუნა მთიელსაც.

ამ ტყეთა ქვეყანაში რიგიან სახლებს ვერ იპოვნი. იგივე ძველებური კერა, მჭვარტლი და სიბინძურე, რასაც ვხედავთ ყველგან ჩვენს დალოცვილ საქართველოში. იგივე უკან ჩამორჩენა, იგივე სიბნელე ცხოვრებისა. მზე არ ანათებს ამ ჯოჯოხეთისებურ სადგომებს. შიგ წყვდიადს დაუბუდებია შიგ, მოუცავს იქაობა. რამ უნდა გაახაროს იქ კაცის გული?!.

დიახ, ფშაველიც ღარიბია. იმასაც ღრღნის და ძირს უთხრის ეს საერთო სენი ქართველებისა. იმასაც ჰშიან და სცივა.

ყოველივე მომასწავებელია ფშაველთა უკან-ჩამორჩენისა. რა უნდა ვუწოდოთ ისეთ ქვეყანას, სადაც, უგზოობის გამო, ურემიც-კი ვერ გაივლის. განსაცვიფრებელია სწორედ! უდაბურ ტყეებში მრავალგან შეხვდებით ძველ სასაფლაოებს, შენობათა ნანგრევებს, ნაკეთებ გზებს. დღეს-კი ყველაფერი გავერანებულია. ასის წლის მშვიდობიანი ცხოვრება საკმაო არ აღმოჩნდა, რომ ძველებური ცხოვრება კვლავ აღორძინებულიყო. სჩანს, საქართველო წინ-მსვლელობის კანონს არ ემორჩილება.

ამგვარად, როდესაც სხვები წინ მიდიან, ჩვენ, პირ-იქით უკან-უკან მივდივართ. ასი წელიწადი კიდევ და, თუ ასე ვიარეთ, არა მგონია, ჩვენი სახსენებელი დარჩეს კიდევ დედა-მიწის ზურგზედ.

ქონებრივ სიღარიბეს ხშირად ეშესაბამება ხოლმე სულის სიმწირეც. როგორც ზემორე ვსთქვი, ფშაველი თან-და-თან ჰკარგავს თავის უწინდებურ თავ-მომწონეო-

გერმანია. როგორც „ტაიმს“-ი იუწყება,—იმპერატორის ავადმყოფობა მეტად აღონებს მთელს გერმანიის ერსა, თუმცა მკურნალნი ირწმუნებიან, საშიში არა არის-რა.

იმპერატორისათვის, როგორც ირწმუნება იგივე გაზეთი, რამდენჯერმე გაუკეთებიათ თურმე ამგვარივე ოპერაცია: აწ განსვენებულმა პროფესორმა ტრაუმანმა გაუკეთა ოპერაცია ვილჰელმს და მოაშორა ხორცმეტები, რომელნიც ლოყასა ან ყურში ამოუვიდა.

ყელის ტკივილი იმპერატორმა ვილჰელმმა პირველად თურმე ვისბადენში იგრძნო.

ნარკვევი

ზოგიერთი გაზეთი ავად იხსენიებს რუსეთის თავად-აზნაურობას, რად დაადგინა ამა თუ იქ საერობო კრებაზედ. რომ შემცირდეს ცენზი საერობო ხმოსნისათვისაო. ეს ხომ უარ-ყოფაა უფლებისა, თავის-თავის გაუქმებაა; მაგით ხომ თავის-თავს აძლევს ზარალსა; ყველა შეჰყოფს თავს ერობაში და თვითონ იმდენი ადგილი აღარ დარჩებაო. ამაზედ გაზეთი „Хозяйнъ“-ი ამბობს:

საერობო კრებათა ქცევა, პირ იქით, იმასა ჰმოწმობს, რომ ერობის კაცნი აფასებენ მაგ უფლებათა, მხარს უჭერენ და ისწრაფვიან, რაც შეიძლება, მტკიცედ ეპყრათ ხელში ეგ უფლებანი.

საზოგადოებრივი სიმწიფე ის არის, რომ უარ-ჰყო პირადი, ანგარი ეგოიზმი, რომელიც მხოლოდ იმასა სცდილობს, ყოველივე თვით ჩაიგდოს ხელში და სხვას აღარა დაუთმოს რა.. და ამის გამო, ადრე თუ გვიან ყოველსავე ჰკარგავს, ყოველივე ხელიდან ეცლება. უნდა აფასებდე შენს უფლებას, ესარჩლებოდე და იცავდე, მაგრამ ამასთანავე შენისავე ნებით უნდა სცდილობდე, რომ მოაშორო მაგ უფლებას ნარევ-ნადუღი იმისთანა უპირატესობა-პრივილეგიებისა, რომელიც უსამართლოა და სხვებისთვის საწყენი; უნდა სცდილობდე, სხვასაც შეიძინოს ეგ უფლებანი, უნდა სხვასაც უზიარებდე შენს უფლებას. აი ეს იქნება წინდი მტკიცე, ხანგრძლივის გავლენისა და მნიშვნელობისა ამა თუ იმ საზოგადოებრივ ელემენტისათვის. ეს კარგად შეიგნო იმთავითვე ინგლისის არისტოკრატიამ.

თუ ჯერ წარსულშიაც ძნელი იყო უიმისობა, რომ ნება-ყოფლობით უარი არ ეთქვა ადამიანს, ესა თუ ის უფლება განსაკუთრებით ჩემ ხელთ უნდა იყოსო, ამჟამად ხომ ეგ უარის თქმა ერთად-ერთი ღონეა იმისთვის, ვისაც უნდა შეირჩინოს გავლენა და ხელმძღვანელობა, იმიტომ რომ დღევანდელ კულტურის განვითარება შეუჩერებლივ და უძლეველად მიისწრაფვის საზოგადოების კლასთა და წოდებათა შორის ძალ-დატანების ხასიათის ურთიერთობის მოსასპობად. ვინც ცოტად-ნად მაინც ჩაუკვირდება ისტორიის მსვლელობას, მიხვდება, რომ ამ მიმდინარეობის წინააღმდეგობა დიდი უგუნურება და სიბავშვეა.

მართალია, წარსული დღესაც ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი, დღესაც ხშირად ჩვენში ანტი-საზოგადოებრივი ინსტინქტების და გულის-თქმათა გამოჩენა, მაგრამ მაინც რუსეთის საზოგადოებამ— და კერძოდ თავად-აზნაურობამ დაამტკიცა თავისი ცხოველ-მყოფელობა, თავისი უნარი განვითარებისა, კულტურულის მუშაობისა, საზოგადოებრივის შემოქმედობისა.

ეს დამტკიცდა ჩვენის საერობო თვით-მმართველობის მოღვაწეობით, რომელსაც არც ერთხელ (თითო-ოროლა მაგალითი სათვალავში არ არის მისაღები) არ მიუღია ეგოისტური, ვიწროდ წრე-შემოვლებული წოდებრივი ხასიათი, თუმცა კანონმდებლობამ თავად-აზნაურობას მაინიჭა უპირატესი როლი.

ეს დამტკიცდა შარშანდელ ადგილობრივ კომიტეტების ნათქვამ-ნალაპარაკევით და წრევანდელ სესიის საერობო კრებათა შუამდგომლობით, რომ საარჩევნო უფლებანი გაფართოვებულ უნდა იქმნასო.

ვინც თვალს განგებ არ იბრმავებს, ცხადი უნდა იყოს, რომ ასეთი გულის-ტკივილი საზოგადო საქმის მიმართ, არა თუ სამართლიანია, არამედ ჭკვიანურიც არი. მხოლოდ ასეთის გულის-ტკივილით შეუძლიანთ იმ ელემენტებს, რომელთაც დღეს ხელმძღვანელობის როლი აქვთ მინიჭებული, შეირჩინონ მომავალშიაც ხელმძღვანელობა და პირველობა. დარწმუნებული ვართ, რომ ვერც გრინგმუტის ცოფი და ვერც სუვორინის დამქაშების ჯამბაზობა ვერ აიძულებს ამ ელემენტებს მხარი აუქციოს ამ სწორე გზასა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

სამშაბათს, 4 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ მსახიობის გ. გედევანოვის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა ბომარშეს კომედია „სევილიელი დალაქი“ და ვოდევილი «დუელი».

თხუთმეტი წელიწადია, რაც პირნათლად, სინიდისიერად ემსახურება ქართულ სცენას ეს საუკეთესო მსახიობი ჩვენის სცენისა. საქმის სიყვარული, დაკვირვებული თამაშობა, შეგნებული გაპიროვნება ყოველს როლისა, რომელიც-კი მას თავს უდვია ხოლმე, ჩინებული კომიკური ნიჭი, ძლიერი მიმიკა—აი თვისებანი ამ მსახიობისა, რომელიც დღეს ჩვენის სცენისთვის ერთს საუკეთესო და საჭირო ძალად გამხდარა.

საჭიროა დახმარება, ზნეობრივი თუ მატერიალური დაფასება მოღვაწეობისა, რომელსაც სარჩულად საქმის სიყვარული უდევს, თორემ მოღვაწეს გული გაუტყდება, ხალისი დაეკარგება და რაღას ივარგებს ის საქმეც, რომელიც ამისთანა გარემოებაში იქნება.

ამიტომაც იყო საწყენი, რომ ამ ჩინებულ მსახიობის ბენეფისის დროს თეატრი არ იყო სავსე. არ ჩანდა დაფასება მსახიობის ღვაწლისა, რომელიც თხუთმეტი წელიწადი ემსახურა მრავალ ეკლით მოსილს გზას ქართულ თეატრისას.

თვით წარმოდგენამ სრულის ანსამბლით და თანხმობით ჩაიარა.

„სევილიელი დალაქი“ კოხტა, მხიარული კომედიაა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს სცენიური ინტერესი.

უხვად გაპნეულია ამ პიესაში ბომარშეს სატირიული ნაპერწკლები, პიესა სავსეა ჭეშმარიტ კომიზმით და იუმორით დასურათებული სცენებით და, რასაკვირველია, კარგათაც იქნებოდა იგი წარმოდგენილი, რადგანაც წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენის სცენის ისეთი ნიჭიერი კომიკები, როგორიც თვით მობენეფისეა (ბართოლომ), ვ. აბაშიძე (ფიგარო), ტასო აბაშიძე (როზინა). დანარჩენებიც: ს. სვიმონიძე (ალმავივა), ივანიძე (დონ-ბაზილიო) და სხ. კარგები იყვნენ. აგრეთვე კარგად და მხიარულად ჩაიარა ვოდევილმაც.

მობენეფისეს წილად ხვდა იმ საღამოს მრავალი ტაშის კვრა და საჩუქრები.

ქ. ყ—ნი.

წერილი

რედაქციის მიმართ

ეს რამდენიმე ხანია, ბ-ნი „ვინმე“, თქვენის გაზეთის საშუალებით, ებრძვის ჩემდა რწმუნებულ საინგილოს სამღვდელოებას და უფრო მომეტებულად კახისას, და სისტემატიურად სცდილობს პატიოსანი სახელი გაუფუჭოს მკითხველ საზოგადოების თვალში. (იხილე №№ 133—134 და 162 „ივერია“-სა). ის ამბობს: „საინგილოში, როგორც საქართველოს სხვა კუთხეში, მრევლი თავის მღვდლებს «გაუმაძღარს და ხარბს» ეძახისო», „მღვდელი საინგილოში «ჩინოვნიკად» გადაქცეულა, დანიშნულს დროზედ ჯამაგირის მიღებას ელის და სხვა შემოსავალსაც არ უშვებს ხელიდანაო», «რამდენჯერმე ყოფილვარ დამსწრე და მოწამე მღვდლების ლანძღვა-გინებისა, რომელიც გამოუწვევია მრევლისაგან შეწირულ სანოვაგის გაყოფას და განაწილებას ერთმანეთში, ნამეტნავად როცა გათავებულა გამოჩენილი დღეობა საინგილოში,—ქურმუხის წმ. გიორგობაა და სხვა-და-სხვა...

მღვდელს „გაუმაძღარს და ხარბს» ეძახიან არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს რუსეთში, სომხებში, ბერძნებში და სხვაგან, სადაც სამღვდელოებას გადაკვეთილი ჯამაგირი არა აქვს და იძულებულია მრევლს დააწვეს კისერზე და იქიდგან შემოსავლით ასახოვროს თავისი ცოლშვილი. ეს დიდი ხანია ცნობილია ხალხში და ახალს არაფერს არ გვაუწყებს ბ-ნი «ვინმე». ხოლო ჭკვიანი კაცი თავისს დღეში არ გაამტყუნებს ამ გარემოებაში ჩაყენებულს სამღვდელოებას. სულ სხვა გარემოებაშია ჩაყენებული საინგილოს სამღვდელოება და არც ერთი ინგილოთაგანს, შეგნებულს თუ შეუგნებელს, არ მოუვა ფიქრად, რომ თავის მოძღვარს საზოგადოდ «ხარბი და გაუმაძღარი» უწოდოს, როგორც ესე სხვაგან ეძახიან. ეს ცილის-წამება იქნება ინგილოზედაც და მის მღვდელზედაც. აქ სიხარბეს ადგილი არა აქვს და რომ ბუნებითაც ხარბი და გაუმაძღარი იყვეს ვინმე აქაური მღვდელთაგანი, იმ ნაირ გარემოებაშია ჩაყენებული, რომ მოინდომოს კიდეც, თავის მრევლზე სიხარბეს ვერ გამოიჩენს. ამაზე დამემოწმება სუყველა სიმართლის მიმდევარი, რომელსაც ახლო გაუცვნია საინგილო და მისი სამღვდელოება, და აი რათა: საინგილოში, როგორც ახალ ქრისტიანებში, მღვდელს აქვს ქრისტეანობის აღმადგინებელ საზოგადოებისაგან დანიშნული უდიდესი ჯამაგირი, 600 მანეთი, რომელიც-კი შესაძლებელია, რომ ეძლეოდეს მღვდელს უწმიდესის სინოდის ნორმით, და რჯულის მასწავლებლობისაც 100 მან. ამოდენა ჯამაგირი არა სოფლის მღვდელს არ ეძლევა საქართველოს ეპარქიის შუა ადგილებში. სამაგიეროდ სხვა არაფერი შემოსავალი არა აქვს მღვდელს მრევლისაგან, რადგანაც ინგილო მრევლი, როგორც ახალი ქრისტიანი, განთავისუფლებულია მთავრობისაგან სუყველანაირი გადასახადით მღვდლის სასარგებლოდ. იგი არ აძლევს მღვდელს არც კოდის პურს, არც ჯვარის საწერს, არც საანდერძოს, არც წინ გასაძღოლს, არც საპანაშვიდოს, არც სახლის გასანათლს, არც მოსანათლს, არც საადსარებოს, და, ასე გასინჯეთ, საპარაკლისოს და სხვას. სუყველაფერი მუქთად უნდა შეუსრულოს მღვდელმა მრევლს. ეს უკანასკნელიც მტკიცედ იცავს ამ უფლებას, ესე იგი მღვდელს არაფერს არ აძლევს, და მღვდელიც ვერ გაუბედავს რისამე მოთხოვნას, რადგანაც მიღებით-კი ვერაფერს ვერ მიიღებს და საჩივარს და უსიამოვნებას-კი ბევრს გამოიწვევს. მაშ, რაში უნდა გამოიჩინოს მღვდლებმა მრევლთან სიხარბე და რად უნდა დაუძახოს ინგილო მრევლმა თავის მოძღვარს «ხარბი და გაუმაძღარი» და სადა აქვს ბ. «ვინმეს» საფუძველი ამის თქმისა? როგორც «ვინმე»-ს ლაპარაკში ეტყობა, დიდხან უმსახურია კახში და, რასაკვირველია, როდისმე დასჭირდებოდა მღვდელი; ერთი დაგვისახელოს, როდის გამოგვირთმევია იმისათვის ან საადსარებო, ან სახლის გასანათლი, ან მოსანათლი, და ამისთანა სხვა? ხარბები რომ ვყოფილიყავით კახის მღვდლები, «ვინმე»-ზე, როგორც არა აქაურზე, ნება გვქონდა, რომ გამოგვერთმია ჩვენი გასამრჯელო; რატომ არ ვიხარბეთ და არ გამოვართვით? ინგილო მრევლი, პირიქით, ძრიელ პატიოსნათ, დიდის პატივისცემით ექცევა თავის მოძღვარს, რადგანაც მისგან სუყველა სამრევლოში, თუნდაც ბ-ნ «ვინმე»-სგან დაწუნებულ კახის სამრევლოში, მრევლს არ აკლია: კვირა-უქმე დღეს წირვა-ლოცვა და წირვის დროს შესაფერი მოძღვრება—ქადაგება, საჭირო დროს შინ მღვდელმოქმედების შესრულება და მის შემდეგ მამაშვილური ტკბილი საუბარი და დარიგება, მთელ დიდმარხვას განუწყვეტელი წირვა-ლოცვა და მაზიარებელთათვის მოკლე ლოცვების ახსნა და სწავლება და შესაფერისი მოძღვრება, აგრეთვე განუწყვეტელი წირვა-ლოცვა მარიამობის მარხვაში, გაჭირვებულთა რჩევა-დარიგება და მიშველება, რითაც შესაძლებელი ყოფილა, ავადმყოფთა მოვლა და პატრონობა, როცა ვისმე მიუმართავს და სხვა... აგრეთვე ზოგ-ზოგ დიდ ზამთარში მთელი თვეობით სადილთუკან მოზრდილთათვის წერა-კითხვის, ანგარიშის და სამღთო რჯულის სწავლება სხვა პირებთან ერთად, რის გამოც არიან ეხლა ხნიერ კაცებში წერა-კითხვის მცოდნენი. ამის მოწამე ბევრჯელ უნდა ყოფილიყვეს ბ-ნი «ვინმე», რადგანაც იმას კახში დიდხანს უცხოვრია და დაახლოვებული ყოფილა მღვდლებთან.

ამ ნაირი მოღვაწე და თავდადებული საინგილოს მღვდელი რითი ემსგავსება «ჩინოვნიკს»? ნუ თუ იმითი, რომ ოთხ თვეში ერთხელ დაწესებულს ჯამაგირს იღებს თავის ცოლშვილის გამოსაკვებათ?... ეს რა დასაძრახისია?... რათა კადრულობს ბ-ნი «ვინმე» ინგილოთა ისე დამცირებას, ვითომ ამათ არ შეეძლოთ კარგის და ავის დაფასება და ასეთი მოსიყვარულე და თავდადებულ მღვდელს ხარბს და გაუმაძღარს ეძახდნენ? კიდევ ვამბობ, ეს ცილის წამება არის, როგორც ინგილო მრევლზე, ისე მათ მღვდელზე; ცილის წამება, გამოწვეული რაღაც ბოროტებით.—ტყუილი და ცილის წამება არის აგრეთვე ისიც, „ვითომ კახის მღვდლებს ერთმანეთში ლანძღვა-გინება და ჩხუბი გვქონდეს ქურმუხის ეკლესიის დღეობაში შემოსულ ნასულადევის გაყოფის თაობაზე ხალხის წინ და ბ-ნი „ვინმეს“ თანადასწრებით».—ქურმუხის ეკლესიის შემოსავალი, როგორც აზვიადებს ბ-ნ «ვინმე», იმის მეოთხედიც არ არის. მართალია, ცხვარი და ქათამი ბევრი იკვლის დღეობაში, მაგრამ ჯერ მხოლოთ ცოტაოდენი ხალხი შეგვიჩვევია, რომ ცხვრის ტყავი ეკლესიას შესწირონ. დანარჩენი ხალხის მომეტებული ნაწილი არაფერს არა სწირავს ეკლესიის სასარგებლოდ. თუნდაც რომ შესწირონ, ჩვენ, მღვდლებს, ამით რა მოგვემატება? ჩვენ მრევლი დასამწყალობელში გვაძლევს მხოლოდ გამომცხვარს პურს, ერთი ბეწვა დაწყვეტილს ნაბოლარა ყაჭს, თითო ოროლა მხალს, თუ ვაშლს, ანუ თხილს და ას კაცში ორი თუ სამი კაცი გვაძლევს თითო დაკლულს ვარიას. როცა გავიყოფთ ხოლმე, თითო მღვდელს შეგვხვდება ოცი, თუ ოცდა ხუთი არ დაკლული ვარია, ხუთი, თუ ექვსი გირვანქა ნაბოლარა ყაჭი, და ორ ტომარამდინაც ნამტვრევი პური. თითო დიაკვანსაც ამის მეოთხედი. ფულზე რომ ვიანგარიშოთ თითო მღვდელს მოგვივა არა უმეტეს რვა მანათისა და დიაკვანს არა უმეტეს ორი მანეთისა. ამ ნაირ მცირე შემოსავალზე უბრალო მუშებიც არ იკადრებენ ხალხის წინ ლანძღვა-გინებასა, და ჩვენ, შეგნებულნი მღვდლები ნუ თუ ასე დავკარგავდით სინიდისსა და კეთილ გონიერებასა? მერე განა სულ ჩვენა გვრჩება ეს ნასულადევი? პურს მომეტებულს ნაწილს ღარიბ მეზობლებს და სოფლის გლეხებს უნაწილებთ, დაკლულს ქათმებს ორ-ორს, ან სამ-სამს უგზავნით ნაცნობ და მეგობარ ჩინოვნიკებს და ჩვენ ვიტოვებთ არა უმეტეს ორის დღის საგრძალს, რადგანაც ფუჭდება. ახლა იკითხოს კაცმა, თუ რომ იმდენი სიხარბე გვაქვს კახის მღვდლებს, რომ ნასულადევის გაყოფაზე ერთმანეთსა ვლანძღავთ, ისიც ხალხის წინ, მაშ, რაღათ ურიგებთ ამ ნასულადევს სხვებს და სულ ჩვენთვის არ ვიტოვებთ? ვინ გვატანს ძალას? თვით ბ-ნ «ვინმე»-სთვის, თუ ის კახში სცხოვრობდა, როგორც ეტყობა ლაპარაკში, მე მგონი არა ერთხელ და ორჯელ უნდა გაგვეგზავნოს მე და მეორე მღვდელს ამისთანა საჩუქარი: ამაზე უარს ვერ იტყვის და ღმერთმაც შეარგოს. მაშ, რათა კადრულობს ამისთანა სიცრუეს და ცილის წამებას? რათა გვწამებს «სიხარბესა და გაუმაძღრობასა» იმ ზომამდის, რომ ლანძღვა-გინებასაც-კი არ ვერიდებით ხალხის წინ? არა ბატონო! ჩვენ, კახის მღვდლები ამ ორის წლის წინად, მართალია, ვჩხუბობდით, მაგრამ ერთმანეთში-კი არა, არამედ ვეჩხუბებოდით და ვდევნიდით ერთ ვინმეს, რომელიც მსახურობდა კახში და იმ ნაირი უკუღმართი მიმართულებისა იყო, რომ, ანდაზისა არ იყვეს, «წყალს დაინახავდა,—თევზი იყო, და მთას დაინახავდა,—თხათ იქცეოდა». ე. ი., თუმცა ტომით ქართველი იყო და ჩვენში ქართველობდა, მაგრამ სომეხთან სომეხი იყო, თათართან თათარი, რუსებთან რუსობდა და ქართველთ საქმეს ჰგმობდა და სხვა.

პას და გამბედაობას. ცოტა ხანი კიდევ და იგი ისეთივე ლაჩარი შეიქმნება, როგორც ბარელია. ცხოვრებამ გაასწორა მთა და ბარი, ყველაფერი ძირს დასცა, გაანადგურა.

ფშაველმა, ოდესღაც საქართველოს ბურჯმა, ეხლანდელმა საქართველოს სიამაყემ, არ იცის, იყო თუ არა ქვეყანაზე შოთა რუსთაველი. სირცხვილი ჩვენ! საითკენაც მივიხედავთ, ყველგან ბარბაროსობას ვხედავთ. სოფლელთა დიდ-ძალი ნაწილი დღესაც მტერია სკოლისა და წიგნისა. გაზეთი, ეს უდიდესი განმანათლებელი ძალა, სოფლელთათვის ჯერ უცნობი ხილია. გონების ჰორიზონტი მათი ვიწროდ წრე-შემოვლებულია, სულის სიბეცე განსაცვიფრებელი.

ვინ დასდებს მალამოს ამ სულიერი წყლულს, ვინ გაანათებს ამ საშინელ სიბნელეს, ვინ გამოიყვანს ჩვენს ხალხს სიღარიბიდან, ვინ განათავისუფლებს ბარბაროსობის მძლავრ ბრჭყალთაგან? მხოლოდ და მხოლოდ ერობა.

მთამ იხსნა ჩვენი ერი განსაცდელთაგან და, თუმცა დღეს ხელს უშლიან მის კულტურულ წინ-სვლას, ბოლოს-და-ბოლოს კვლავ ხელს შეუწყობენ მის განათლებას, კვლავ განაძლიერებენ. მიეცით საზრდო, დოვლათი მთის სუფთა ჰაერში აღზრდილ შვილს და მაშინ ჰნახავთ, რის შემძლებელი იქნება. ენერგია, სამაგალითო ჯან-მთელობა მთიელისა დაჰბადებს სამაგალითო კულტურას. მერმისი იმედის შუქით ანათებს და დღეს თუ ბნელა, ხვალ მზე აღმობრწყინდება. „შემცდარია, ვინც გულს იტეხს“. სიმდიდრე ჩვენის ბუნებისა თავდებია მომავალის ეროვნულის ბედნიერებისა.

რასაკვირველია, როგორც ზემოდ ვსთქვით, მთავარი საზოგადო ძალა, შემქმნელი, მომცემი კულტურულის წარმატებისა, იქნებოდა ერობა. მაგრამ, სანამ ერობა არა გვაქვს, სხვა საშუალებანიც არ უნდა უარ-ვყოთ.

ყველაზე უფრო აუცილებელი საჭიროებაა, მთიელებს, გამრავლებისადაგვარად, ახალ-ახალი სახელმწიფო მიწები მიეზომოთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში გაჩნდება მთებში მჭიდრო მოსახლეობა, ეს მთავარი მიზეზი საზოგადოების წინ-სვლისა. მართლაც, სანამ მოსახლეთა მცირე რიცხვია გაფანტული უზარმაზარ სივრცეზე, არავითარი კულტურული მუშაობა არ შეიძლება. ბრძოლა ბუნების ავ ვითარების წინააღმდეგ, კლდე-ღრეების გადასალახავათ, დამორჩილება მძლავრის ბუნებისა შეუძლია მხოლოდ რიცხვ-მრავალ მუშას. ახლა-კი, აბა, რა უნდა დააკლოს კავკასიის ქედს, რას უნდა გახდეს ასე ცოტა მუშა-ხელი?! ასე გაშინჯეთ, უბრალო საცხენოსნო გზების გაყვანაც-კი შეუძლებელი გამხდარა.

ამის შესახებ უნდა აღიძრას შუამდგომლობა სათანადო მთავრობის წინაშე ახლად განწესებულ მომრიგებელ შუაკაცთა მიერ. მათს მეცადინეობაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

არა ნაკლები მნიშვნელობა ექნება უკეთ მოვლას იმ ადგილებისას, რომელიც ხელთ უპყრიათ მთიელებს. შვეიცარიაში, როგორც წაგვიკითხავს და გაგვიგონია, ფერდობებზე ხშირად არის გაყვანილი ღობეები გან-და-გან, რომ ყანის ნიადაგი არ დაცურდეს და მით ყანას არ მოაკლდეს ნაყოფიერება. საჭიროა ფშავეთსა და სხვაგან მთაში შემუშავებულ იქმნას სამაგალითო ყანები შვეიცარიის სისტემით.

რასაკვირველია, ყველა ამისათვის საჭიროა, რომ გლეხებს სახელმწიფო ტყეებიდგან უფასოდ ეთმობოდეს სღობავად საჭირო წკნელი.

მხოლოდ მაშინ შეეჩვევიან გლეხები თავის ადგილების სასუქით განაყოფიერებას, რადგან ამგვარად შემოღობილ ყანებში მოიკიდებს სასუქი ფეხს, არ ჩამოირეცხება, არ ჩაუვლის პატრონს ტყუილ ხარჯად.

ტფილისის გუბერნიის გლეხებსა აქვთ ფული, შეკრებილი სასოფლო ბეღლების პურის გაყიდვით. თიონეთის მაზრის მომრიგებელი შუაკაცნი კარგს ინებებენ, რომ იშუამდგომლებდნენ, ვისთანაც ჯერ არს, და ამ ფულის ნაწილს ხსენებულ საქმეს მოახმარებდნენ.

საჭიროა, აუცილებლად საჭიროა ფშავეთში გზები. იქ, სადაც ურემი და მარხილი ვერ გაივლის, შეუძლებელია კულტურული წინ-სვლა. საჭიროა, მთიელნი სხვა გადასახადთაგან განთავისუფლდნენ, რომ მთელი მათი ძალი და ღონე გზების გაყვანას და, საზოგადოდ თავის სასტიკ ბუნებასთან კულტურულ ბრძოლას მოანდომონ. დიდი უსამართლობა იქნება, რომ მთიელიც ბარელთან გავასწოროთ გადასახადში, როდესაც იგინი თანასწორ გარემოებაში არ იმყოფებიან. მაშ, აუცილებლად საჭიროა ახლანდელმა მომრიგებელმა შუაკაცებმა იშუამდგომლონ, ფშავ-ხევსურებს მამულებზე გადასახადი ან სულ არ გადაახდევინონ, ან შეუმსუბუქონ მაინც და, სამაგიეროდ, ბეგარად დაადვან გზის კეთება.

ყველაფერზე უფრო საჭირო-კი თვითმოქმედებაა. საჭიროა ინტელიგენცია კერძო ინტერესების ფარგლიდან გამოვიდეს და მხნედ შეუდგეს საზოგადო კეთილდღეობის საქმეს. საჭიროა, რომ, რაცა აქვთ ფშაველებს, იმას მაინც მოუარონ, ის მაინც არ ეკარგებოდეთ ტყუილ-უბრალოდ. საჭიროა დაარსება მატყლის საწყობის ამხანაგობისა; იმ ამხანაგობაში მონაწილენი უნდა იყვნენ ყველა ფშაველნი. ამისთვის საკმაოა კახეთის მემამულეთა ამხანაგობის წესდების მცირეოდენი შეცვლა და გაგზავნა, სადაც ჯერ არს, დასამტკიცებლად. ამგვარი ამხანაგობა თვით მექარხნეებთან დაიჭერს საქმეს, უფრო რიგიან ფასად გაასაღებს მატყლს და თავის წმინდა მოგების ნაწილს საზოგადო საჭიროებას მოახმარებს. ეს საქმე, როგორც „კახეთის მემამულეთა ამხანაგობის“ საქმე, ადვილად შესასრულებელიც იქნება და დიდად სასარგებლოც. და, ვინ იცის, ეს შეუმუშავებელ მასალის გამყიდველი ამხანაგობა ოდესმე ისე გამდიდრდეს, რომ მატყლის სართავი და საქსოვი ქარხნებიც გაჰმართოს. მაშინ ხომ ფშაველების ბედს ძაღლიც ვერ დაჰყეფს. ის ჯარის-კაცი არ ვარგა, რომელსაც გენერლობის მიღების იმედი არა აქვს. პატარა დასაწყისი ხშირად დიდ ნაყოფს გამოიღებს ხოლმე. საჭიროა მხოლოდ მონდომა, შრომა- „თუ გული გულობს, ქადა ორის ხელით იჭმებაო“, ნათქვამია. თუ მოვინდომებთ, შეუძლებელი არა იქნება-რა.

ვასილ წერეთელი.

ის ვინმე განვდევნეთ საზოგადოებიდგან და იძულებული გავხადეთ კახიდგანაც წასულიყო. ეხლა უნდა ვკითხო: ეს ჩვენი მღვდელი და ცილის მწამებელი ბ-ნი «ვინმე» ის ვინმე ხომ არა ბრძანდება? თუ ის არის, მაშ, არ გვაკვირვებს ამ ნაირი მისი საქციელი და დარწმუნებული ვართ, არა ერთხელ და ორჯელ გამოალაშქრებს ჩვენზე ამ გვარ ცილის წამებითა და ტყუილით, მანამ ჯავრს იყრიდეს და გულს გაიგრილებდეს და იქნება ფსელონიმებიც ახალ-ახალი მოიგონოს. სწეროს, რამდენიც უნდა, ჩვენ პასუხს აღარ გავცემთ. ის მაინც დაგმობილი იქნება, მანამ მაგ უკუღმართ მიმართულებას არ დააგდებს და ცოდვას არ შეინანიებს, ვითარცა პეტრე მოციქულმა შეინანა.

ბლაღოჩინი მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე.

სასამართლოს მატიანი

ინჟინერ ხოიცევის საქმე

ტფილისის სამოსამართლო პალატამ 4 ნოემბერს გაარჩია საქმე ინჟინერ-ტეხნოლოგის ვაგარშაკ ხოიცევისა, ხაჩატურ მელიქ-სარქისოვისა, ბაირამ ალლაჰ-ყული ოღლისა და დოსტ-მაჰმედ-მამედ-ოღლისა. ამათ ჰბრალდებოდათ მუშის კრიკორ მელქონოვის დამწყვდევა მარილის მაღაროში, რასაც შედეგად ამ მუშის თავის ჩამოხრჩობა მოჰყვა.

1902 წელს, 23 ოკდომბერს, ყარსის ოლქში, ყაგიზმანის მახლობლად, ჯანფოლადოვის მარილის სამრეწველო კონტორიდან ვიღაცას მოუპარავს ყუთი, რომელშიაც 450 მანეთი ყოფილა. ორის დღის შემდეგ ჯანფოლადოვის მარილის საქმეების გამგეს ნახიჩევანის მცხოვრებს ხაჩატურ მელიქ-სარქისოვს განუცხადებია ჯანფოლადოვის სიძის ინჟენერ-ტეხნოლოგის ვაგარშაკ ხოიცევისთვის, რომელიც მადნებს ჰპატრონობდა, რომ 450 მან. ქურდი მელქონოვი უნდა იყოს, რადგან იგი თავს ანებებს მადნეში მუშაობას და ოსმალეთში მიემგზავრებაო. ინჟენერმა ხოიცევმა და მელიქ-სარქისოვმა პოლიციას არაფერი აცნობეს და მელქონოვი მარილის მაღაროში დაამწყვდიეს, რათა ამ გზით გამოეტეხნათ. ხოიცევის ბრძანებით, მელიქ-სარქისოვმა და მადნებში მოსამსახურემ ნერსეს ასატუროვმა 25 ოკდომბერს მელქონოვი წაიყვანეს მარილის მაღაროში, ვითომდა ხის კუნძის ამოსატანად. ამ დროს ხოიცევი მაღაროში ყოფილა. როდესაც მელქონოვი ხოიცევთან ჩაიყვანეს, თვით ხოიცევმა, ხ. მელიქ-სარქისოვმა, ნერ. ასატუროვმა და მადნების მცველებმა ბაირამ ალახ-ყული-ოღლიმ და დოსტ მაჰმედ-მაჰმედ-ოღლიმ მელქონოვი ერთს ბნელს და ნოტიო ტუნელში შეაგდეს, კარები გამოუკეტეს და დასტოვეს.

საღამოთი მელიქ-სარქისოვმა შეატყობინა, რომ როცა ბაირამი და დოსტი ტუნელში ჩავიდნენ, მელქონოვი ჩამორობი [illegible] უნახავთ. 27 ოკდომბერს ეს ამბავი გამომძიებლისათვის უცნობებია ინჟენერს ნარუცკის, მისულა ბოქაული ანდრეევი. ანდრეევს მელქონოვის გვამი უნახავს სულ ძირ ბნელ და ნოტიო გვირაბში. კისერზე გვამს შემოხვეული ჰქონია თავშალი. თავშალს ზემოდან კისერზე მობმული ჰქონდა თოკი. ყულფთან თოკი გაჭრილი ყოფილა და ნაჭერი იქვე მიწაზე გდებულა. შუბლსა, მკლავსა და გულში გვამს ჭრილობა ჰქონია; ხელებზე ისეთი ნიშნები აღმოაჩნდა, რომ ვიღაცას მელქონოვისათვის ხელები უნდა შეეკრა და ისე ეწვალებინა. შემოწმების დროს ექიმს ის აზრი გამოუთქვამს, რომ ვიღაცას მელქონოვი საშინლად უვანჯავსო. შუბლი და გული დაჭრილი აქვს, ბეჭი და საჯდომი დაბეჟილი რაღაც იარაღით.

ერევნის ოლქის სასამართლოს ეს საქმე განუხილავს ამ წლის 14 ივნისს. სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ბრალდებულნი და გადაუწყვეტია: ინჟენერ-ტეხნოლოგის ვაგარშაკ ს. ხოიცევის და ხაჩატურ მელიქ-სარქისოვისათვის ყოველისავე უფლება-ღირსების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა პირველის 6-სა, ხოლო მეორის 4 წლით; ბაირამ-ალაჰ-ყული-ოღლისა და დოსტ-მაჰმედ-მამედი-ოღლისათვის ყოველისავე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა-გამასწორებელ რაზმში გაგზავნა ოთხ-ოთხის წლით.

სამოსამართლო პალატაში გუშინწინ ბრალდებულს ინჟენერ-ტეხნოლოგ ხოიცევს იცავდა პეტერბურგელი ნაფიცი ვექილი მირონოვი და მ. ო. გურზენბერგი. ბ-ნმა მირონოვმა, სხვათა შორის, სთქვა, საქმეში არავითარი საბუთი არ არის იმის დასამტკიცებლად, ვითომ ხოიცევს ან მის ხელ-ქვეითებს თოკებით ხელები გაეკრათ მელქონოვისათვის და დაეტანჯოთო. პალატამ კარგა ხანს თათბირის შემდეგ თავისი განაჩენი გამოაცხადა საღამოს 7 საათზედ. ამ განაჩენით პალატამ დამნაშავედ იცნო ინჟენერი ხოიცევი და მელიქ-სარქისოვი გრიქორ მელქონოვის დაპატიმრებისათვის; გააუქმა ერევნის ოლქის სასამართლოს გადაწყვეტილება და გადაუწყვიტა მათ ყოველივე პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა: ვ. ხოიცევს სამის წლისა, ხოლო მელიქ-სარქისოვს ერთ ნახევარ წლის ვადით. ამასთანავე პალატამ შეიწყნარა ვექილების თხოვნა და დაადგინა დაპატიმრებულნი გაათავისუფლოს დროებით, ვიდრე საქმე სენატში გაირჩეოდეს. ხოიცევს მოეთხოვა 3000 მანეთისა, ხოლო მელიქ-სარქისოვს 500 მანეთის წარდგენა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 ნოემბერი

პეტერბურგი. 3 ნოემბერს გატჩინას მობრძანდნენ ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასული მეუღლითურთ.—4 ნოემბერს საღამოს მობრძანდნენ სკერნევიციდგან ცარსკოე სელოს მათთა უდიდებულესობათა ასულნი.

ჩისტოპოლი. კამა მოიყინა.

ვარშავა. სკერნევიცში დაბარებულია ესკადრონი გესენის ჰერცოგის ერნსტის სახელის პოლკისა, რათა უკანასკნელი პატივი სცეს ახლად განსვენებულ პრინცესა ელისაბედ გესენელის გვამს.

სეული. რადგან შეტაკება მოუხდათ კორეელებსა და იაპონელებს, იაპონიის ელჩი თხოულობს საყვედური გამოეცხადოს პოლიციისა და ჟანდარმების უფროსებს და ბოდიშიც მოიხადონ საელჩოს წინაშე. ელჩი ითხოულობს ამასთანავე სასტიკად დასჯილ იქმნან ყველანი, ვინც-კი მონაწილეობა მიიღო შეტაკებაში და ჯარის კაცების უფროსებს საყვედური გამოეცხადოს. თუ ამისთანა შეტაკება კიდევ მოხდა, იაპონიის ელჩი იმუქრება იაპონელებს დავიბარებ, რომ კორეის პოლიციას დაეხმარონო. დაჭრილ იაპონელების ხარჯი კორეის მართებლობას დაეკისრება და ამას გარდა ზარალიც უნდა უზღოს იაპონელებს.

ლოხვიცი. საგანგებო საერობო კრებამ დაადგინა, ყველას უნდა ჰქონდეს ხმა, წოდების განურჩევლადო. ცენზი ამომრჩეველთა 50 დესეტინა იყოსო. ქალებს შეეძლოთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ და არჩეულ იქმნანო.

პორტსმუტი. მოვიდა იახტა «ვიქტორია ალბერტ“, რომლითაც იტალიის მეფე-დედოფალი მობრძანდნენ.

ნიუ-იორკი. პანამიდგან მოვიდა კომისია მოსალაპარაკებლად და ხელშეკრულობის დასადებად პანამის არხის გაყვანის შესახებ.

პოტსდამი. ბიულეტენი გერმანიის იმპერატორის ჯანმრთელობის შესახებ აღარ გამოცხადდება, რადგან ყელის ჭრილობის ძარღვები რიგზედ ურჩება.

ვაშინგტონი. კრეისერი «ალბანი“ იოკოჰამიდგან ჩემულპოს წავიდა.

კარაჩი. ლორდი კერზონი დღეს ოთხის სამხედრო გემით სპარსეთის ზღვაში მიდის.

კობურგი. გარდაცვალებულის პრინცესის ელისაბედ გესენელის დასაფლავება ხუთშაბათს იქმნება დარმშტატში.

ველინგტონი. (ახალი ზელანდია). მინისტრ-პრეზიდენტმა კანონ-პროექტი წარადგინა, რომლითაც ინგლისის ვაჭრობას უპირატესობა უნდა მიეცეს. ეხლანდელი ბაჟი მომავალ 1904 მარტიდგან 20%-მაგიერ უნდა ასწიონ 50%-მდე, ყველა საქონელზე, ინგლისის ნაწარმოების გარდა. წარდგენილია აგრეთვე კანონ-პროექტი სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ უცხო სახელმწიფოებთან.

5 ნოემბერი

პეტერბურგი. პრინცესა ელისაბედ გესენელის გვამის გაჭრამ აღმოჩინა, რომ უავგუსტოესი ავადმყოფი გარდაიცვალა ტიფითა.—შინაგან საქმეთა მინისტრმა კვლავ ნება დართო გაზეთ „ურალის“ ბეჭდვისა.—ფულის კორესპონდენციის შემოწმების შემდეგ, რომელიც იგზავნებოდა 26 ოკდომბერს ფოსტის ვაგონით მატარებლის № 3-თა, სულ 7.734,317 მ. და 47 კაპ. აღმოჩნდა, რომ ცეცხლის დროს სულ დამწვარა ერთი ფულიანი პაკეტი 826 მ. 18 კაპ.. სხვა ფულიანი კორესპონდენცია-კი გადაარჩინეს და ამჟამად დანიშნულებისამებრ გაგზავნილ იქმნა, რაოდენობა დანარჩენის დამწვარის ქაღალდებისა, ამანათებისა ნამდვილად გამორკვეული არ არის.

ვინდზორი. იტალიის მეფე-დედოფალს დაუხვდნენ მეფე და დედოფალი.

პარიჟი. თავმჯდომარემ პარეჟე საქმეთა ვაჭრობის ერთის ჯგუფისა დელონკლემ წერილობით მიმართა დელკასეს და გამოსთქვა სურვილი, რათა რუსეთმა დიდი ბაჟი არ დაადოს საფრანგეთის ღვინოებსა, არა უმეტესი სხვა ქვეყნების ღვინოებისა და რათა ეს ბაჟი არ აღემატებოდეს ოთხ მანეთს თითო გეკტომეტრზე.

პორტ-არტური. 31 ოკდომბერს, როცა იაპონიის სავაჭრო გემი გავიდა პორტ-არტურის ბოღაზიდან, დაეტაკა კრეისერ „ასკოლდის“ კატერსა, რომელიც დაიძირა. კატერზე მყოფი აფიცერი და მოსამსახურენი გადაარჩინეს ორი მატროსის გარდა. გემს უნდოდა გასვლა ზღვაში, მაგრამ უკან დააბრუნეს ბოღაზში.

სოფია. *) ამბავი ბოლგარელ აფიცერთა შეთქმულებაზე სრულიად ტყუილია. 40 აფიცრის დაჭერაც მოგონილი გამოდგა, არავინ აფიცერთაგანი არ გაუშინჯავთ. აგრეთვე ის ამბავიც ტყუილია, ვითომ შეთქმულობა იყო აფიცერთაგან შედგენილი იმ აზრით, რომ გამოეწვევიათ ომი ბულგარეთსა და ოსმალეთს შორის. — დაბეჭდილი გაზეთ „Temps“ და სხვა გაზეთებისაგან ამბავი, ვითომ სხვა-და-სხვა აზრს დაადგნენ მინისტრები პეტროვის კაბინეტისა, საფუძველს მოკლებულია. ყველა ეს ასაღელვებელი ხმები ვრცელდება იმათგან, ვისაც ჰსურს ბულგარეთს საზღვარ-გარედ სახელი გაუტეხოს.

„ივერიის“ ფოსტა

გრიგოლ კაჭარავას. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

დ. ელ—შვილს. თქვენს ლექსს „ჩემს ხმალს“ „შურდულის“ რედაქტორს გადავსცემთ. მგზავრის წერილები-კი ჯერ არ განგვიხილავს. თავის რიგსა და ჯერს უცდის. ელეგია არ დაიბეჭდება.

პეტერბურგის ბირჟა 21 ოკდომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93.75
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	$37,32^1/_2$
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	$37,62^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$5—6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$99^1/_2$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$95^1/_8$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	456 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	346 წვ. გაყიდ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$294^1/_2$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა	—
$4^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სა მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზე და ოლგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთ, მშობიარეთა და მელოგინეთა შინვე დასახმარებლად, [illegible] შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალ[illegible] დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზჭფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი $1^1/_2$-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა	11 კ.
2 ”	8 კ.
3 ”	6 კ.
სუკი	15 კ.
ცხვრის ხორცი	10 კ.
კამეჩისა	7 კ.
ღორისა	
1 ხარისხის (საკატლეტე)	11 კ.
2 ” (ბარძაყი)	10 კ.
3 ” (დანარჩენი ნაწილი, ტყავებული)	8 კ.

ნიხრი პურისა.

თონეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5 კ.
2 ”	$3^1/_2$ კ.
3 ”	3 კ.

განცხადებანი

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1093 წლის 10 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, ქ. ქუთაისში, საბჭოს სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით საიჯაროთ გაიცემა **წარქვალის გზის შეკეთების საქმე**; შესაკეთებელია 1572 საჟენი, 10.854 მან. და 12 კაპეიკისა.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, ამის დაწყებამდე უნდა წარუდგინოს საბჭოს ზემოდ-აღნიშნულ ფულის 5% ან ნაღდის ფულით ან მთავრობისაგან უზრუნველყოფილ ფასიან ქაღალდებით.

ვაჭრობის შედეგის დამტკიცება საბჭოს შეხედულებისაგან არის დამოკიდებული.

(1—6.—1)

მარგანეცის მრეწველთა კრების საბჭო ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1903 წლის 10 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, ქალაქ ქუთაისს, საბჭოს სადგომში, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით **ჭალის** გზატკეცილის შეკეთების საქმე, ვერსტისა 58 საჟ. მანძილზე; საქმის ღირებულება 4584 მ. 12 კ.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, ამის დაწყებამდე უნდა წარუდგინოს საბჭოს ზემოდ აღნიშნულ ფულის 20% ან ნაღდის ფულით ან მთავრობისაგან უზრუნველ ყოფილ ფასიან ქაღალდებით.

ვაჭრობის შედეგის დამტკიცება საბჭოს შეხედულებისაგან არის დამოკიდებული.

(ხ. 1—1)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და ითო ცალი ღირს ერთი მან.

ახალი წიგნი რუსულს ენაზე

Къ вопросу о мингрельской начальной школѣ (მეგრულის პირველ-დაწყებითის სკოლების შესახებ), ვარიანელიასა, დაბეჭდილი პეტერბურგში. ფასი ერთი აბაზი.

Какъ поднять Кавказскую народную школу (როგორ უნდა აღსდგეს კავკასიონის სახალხო სკოლა), იაკობ გოგებაშვილისა. ფასი ექვსი შაური.

ორივე წიგნის საწყობი არის წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, საიდგანაც უნდა დაიბარონ მეღვლებმა. (6—2)

---

*) ბულგარეთის მართებლობის წრეებისაგან.

[illegible] ноября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-рус. семинаріи დროებით რედაქტორი ზ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. ხარაჯიშვილი.